ავტობიოგრაფია

მე, დიმიტრი გვრიტიშვილი, დავიბადე 1980 წლის 16 ოქტომბერს, დუშეთში, მასწავლებლის და მედდის ოჯახში. 1986 წელს შემეძინა [illegible] და; ვცხოვრობდით თბილისში.

1987 წელს შევედი სკოლაში სასწავლად. 1998 წელს დავამთავრე თბილისის №36-ე სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ფასიან განყოფილებაში, რომელიც წარმატებით დავამთავრე 2003 წელს, კვალიფიკაციით „იურისტი" და ხარისხით - „სამართალმცოდნეობის".

2003-2005 წლებში ვეწეოდი სადვოკატო საქმიანობას; 2005-2007 წლებში ვმუშაობდი ქ. თბილისის მერიაში, სხვადასხვა თანამდებობებზე; ბოლოს ვიყავი იურიდიული სამსახურის სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

2008 წლის იანვრიდან ნოემბრამდე ვიყავი მოსამართლის თანაშემწე საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ჩემი კარიერა თავბრუდამხვევად განვითარდა: 2008 წლის ნოემბერში გავხდი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე; 2012 წლის ოქტომბერში გავხდი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე, ხოლო 2017 წლის 5 ივნისიდან ვარ ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. იმავე პერიოდში ვიყავი არჩეული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად.

მყავს მეუღლე და სამი შვილი.

ამჟამად ვცხოვრობ ხან ქუთაისში ([redacted], ხანაც - ჩემი მეუღლის მშობლების კუთვნილ სახლში (თბილისი, [redacted]).

მიყვარს სპორტი (განსაკუთრებით - ჭადრაკი), კინო და მუსიკა.

მსურს გავხდე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. ამბიციური მიზანია, [illegible] გამოწვევაა, მაგრამ მიმაჩნია, რომ [illegible] [illegible] [illegible], მყარი [illegible] პროფესიული განვითარებისთვის და [illegible] [illegible] [illegible]. მინდა [illegible] [illegible], რომ გავამართლებ ნდობას. ეს ყოველთვის იყო ჩემი ოცნება და კარიერის [illegible].